

1775
2001

მნათობი



5-6

2001

ბელოზა

ერთმოქმედებიანი ფარსი

მოქმედი პირები:

ნაილი

სუსანა

ჯანო

ზაიკო

ალიოვა

ნოზრეჰანი

მაგდა

სალომა

კოკი

ლ. პატაშური

მ. მინაბლა

კოტე

კამილა

სცენა თავისი გარეგნული ნიშნებით ერთ-ერთი ჩვეულებრივი ჰუმანიტარული დაწესებულების ასოციაციას აღვიძრავს. ეს დაწესებულება „ლიტერატორთა პალატა“ ჩვენს წინაშეა სამუშაო ოთახი. ანტურაჟი ნაცნობია: მარჯვენა კუთხეში მაცივარი გვეხვდება თვალში, იქვე საქალაქოებოთ გაჭედული თაროებია ერთმანეთზე შეწყობილი. ოთახის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სანერი მაგიდები მიუდგამთ, ორი მარჯვნივ – ორი მარცხნივ – ისე, რომ თითქმის უყურებენ კიდეც ერთმანეთს. უფრო მარცხენა მხრისკენ, ცერად, დაწესებულების დირექტორის მძიმე მაგიდაც დგას და წინ გრძელი, თათბირებისთვის განკუთვნილი „გაგრძელება“ აქვს მიდგმული. კედელზე გაკრულია „ქართული ასომთავრული“; იმპრესიონისტების ნაკლებად ცნობილი ორი რეპროდუქცია; ვიღაც ყველასათვის უცნობი მწერლის ფოტო და რომელიღაც უცხოური ჟურნალის ყდა: ნახევრადმშველი, გაშტერებული ქალის სურათი. ოთახს აქვს ერთი ფანჯარა (დარბაზის პარალელურად გაჭრილი). ფანჯრის რაფაზე რადიო და პატარა, მინიატურული ნაძვის ხე ჩანს, გვერდზე კი ღია კარებია. მაგიდებზე აწყვია კონსერვის ქილებისგან გაკეთებული საფერფლები, საქალაქოები, ასანთები და სხვ. შემოსასვლელთან ქაღალდების ჩასაყრელი ნაგვის ყუთი აგდია გადაბრუნებული.

ვიღაცას წინააღმდეგ ხმამაღლა ჩართული დარჩენია რადიო. ისმის მელოდია სიმღერისა: „დილა არის ცა-ლაჟვარდი დაა, მზისა სხივი ეფინება დაა“ და ა. შ. იწყება სამუშაო დღე-შემოდის ნაილი.

ნაილი (ჩაუწევს რადიოს). – ჯანდაბა! ჯანდაბა! (გაივილის ოთახში). ფუჰ, ეს უპატრონოები ნაგავს პირდაპირ მაგიდაზე ყრიან! (მაგიდას გადანმენდს და ნამწვავებს ნაგვის ყუთში ყრის). ვაი დედა, რა მიშველის ნეტავ! (სკამზე ჩამოჯდება, სანახევროდ სცენისკენ მიბრუნებული სივარულს ამოიღებს და ენევა, თან პატარა, მრგვალი სარკე უჭირავს ხელში და შიგ იყურება). ვაი, ღმერთო რა უბედური ვარ! (კოკეტურად).

შემოდის ნაგვის დიდი ყუთით ხელში ქურთი დამლაგებელი სუსანა.

სუსანა – ნაგვის ყუთი რა უყავით, გოგო?

ნაილი – რა ვუყავი და სახლში ნავილე. შენს უკან გდია (სუსანა უსიტყვოდ იღებს

ნაგვის ყუთს და იქიდან დიდ ყუთში ყრის ნაგავს). სუსანა, ჩემთვის ხომ არა გაქვს რამე?

სუსანა – არა, ეხლა არაფერი არა აქვს.

ნაილი – ის „აღიღუპა“ ვინ აიღო, იმ დღეს წენვა-გლეჯა რომ იყო?

სუსანა (საწყლად). – ზეიკომ.

ნაილი (გაკვირვებულია). – ზეიკომ?.. რა ვიცი, გენაცვალე, ოცდაოთხი საათი ფულზე ტირის.

სუსანა გადის.

პაუზა.

ვაი ღმერთო! ჩემთვის ამ ქვეყანაზე არავის არაფერი არა აქვს.

შემოდის ჯანო.

მოვიდა ეს კრეტინი!

ჯანო – გამარჯობათ, ქალბატონო, გამარჯობათ! რაზე შენუხდით... თუ გამებედება, რა თქმა უნდა?

ნაილი – რა, არ მოვიდე სამსახურში?

ჯანო (შეცბუნებულია) – არა, ბატონო, ეგ არ მითქვამს... ნამეტანი ადრე მგონია.

ნაილი – რას ამბობთ, ბატონო ჯანო, ვერ გავიგე, რა გგონიათ, ათი საათი ადრეა?

ჯანო – ახლავე გეტყვით საათს (იღებს დიდ ჯიბის საათს).

ნაილი – მადლობთ. უთქვენოდაც ვიცი (აბოლებს).

ჯანო (ვითომ არ ესმის. აშტერდება საათს) – თ-ე-რ-თმე-ტი-ს... (დღის სინათლეზე გახედავს). ნახევარი? კი მგონი... კი, კი, ასეა (გალიმებული უახლოვდება თავის საწერ-მაგიდას და ჯდება). ბოდიში, ქალბატონო ნაილი... ხო არ მეშლება სახელი? ბო-დი-ში (ბრიყვულად იცინის).

ნაილი – თქვენლა მაკლდით ეხლა რა.

ჯანო (ჰაერს იყნოსავს). – ნავთია თუ რაა ეს? (კიდევ შეიყნოსავს). კი! ნავთის სუნი დგას! საიდან ნეტავ?

ნაილი – არ ვიცი. მე გაციებული ვარ. სურდო მაქვს.

ჯანო – ბოდიში... შეიძლება ერთი რაღაცა ვთქვა? თქვენ მაინც ვერ იგრძნობთ. კი, ეს ნალდი ასეა.

ნაილი – ვიცით, ბატონო ჯანო, თქვენი აზრი მწვეელი ქალების შასახებზე, ნულარ გავგანათლებთ... (ჰაუზა). მამიდა როგორ ბრძანდება? (გულგრილად).

ჯანო (ილიმება) – მადლობა, მადლობა... რა უჭირს... ამ დილით გავუზომე წნევა.

ნაილი – მერე?

ჯანო – მადლობა... ნორმალური აქვს მისთვის, ეჰ! (ჭერში ააპყრობს მხერას).

ნაილი (ჰაერს იყნოსავს) – რა სუნია, მართლა რა არის, მასტიკაა ნასმული ეტყობა... გაუნყალდათ გული!

ჯანო – ქალბატონო ნაილი, შეიძლება ერთი შეკითხვა? ესეიგი გაუთხოვარი... ბოდიში, გასათხოვარი ქალები მოდიან სამსახურში ადრე ხომ?

ნაილი (ნერვიულად) – ბატონო ჯანო, გათხოვილებისთვის და გაუთხოვრებისთვის სხვადასხვა განრიგი არ დაუწესებიათ... და საერთოდ რას გეტყვით, იცით... ყველამ თავის თავს მიხედოს, მე მგონი ასე აჯობებს... თქვენთვისაც, სხვათაშორის.

ჯანო – ბოდიში, რა ვთქვი ამისთანა... ვაიმე! მე თვითონ კრეტინი ვარ ბატონო, მარტოხელა კრეტინი.

შემოდის ზეიკო

ნაილი – მადლობა ღმერთს! სადა ხარ ქალო, ამდენ ხანს!

ჯანო (წიგნს ჩასცქერის). – სალამი ქალბატონო!

ზეიკო (ცუდ გუნებაზეა). – გამარჯობათ! (ნაილის გვერდით ჯდება და სიგარეტს იღებს ჩანთიდან) გიჟს ვგავარ (აბოლებს).

ჯანო გადის.

ნაილი – რა იყო, რა გეცა აღარ იტყვი?

ზეიკო (ჰაუზა) – მანქანა დაველენე. (ილიმება).

ნაილი – მაიცა, ქალო, ხუმრობ თუ მართლა?

ზეიკო – რა მეხუმრება. ნორმალური ხარ? ლამისაა ქალი კედელზე გავიდე. (მხარედ ილიმება და მშვიდად ლაპარაკობს).

ნაილი – სად, როგორ, რანაირად ქალო, გამაგებინე?

ზეიკო (ჰაუზა) – ჯანდაბაში. იკუშას სახლთან ჩიხი რომ არის, იქ ჩაუვხვიე, უკვე გავდიოდი სახლისკენ, ამ დროს გამოვარდა ვიღაც გიჟივით, დამარტყა და როგორც შენ არ გინახავს საერთოდ... (წყვეტს სიტყვას, აბოლებს).

ნაილი (გაოგნებულია) – რას მეუბნები, ქალო... კი, მაგრამ... საკაცეთი განყდა?

ზეიკო – საკაცეთი... გადმოვიდნენ მანქანიდან, ერთი გემრიელად შეიგინეს, მერე ავიდნენ დღეობაზე და ისე იქეიფეს, შენი მოწონებულნი.

ნაილი – მაგათ ჰქვიათ კაცები!.. რო მოკვდე, მე მგონი სახლში არც მოგაკითხავენ, მაინც მკვდარიაო... ვაი ჩვენი ბრალი! ახლა კოტეს „რჩევი“ უნდა ისმინო ცალკე...

ზეიკო – კოტე აქ არ არის, კიდე კაი... ირინკაც ავად გამიხდა, ახველებს... მოკლედ ერთი თოფი უნდა მაიტანო და დაიხალო თავში...

ნაილი – კაი, მანქანა მანქანად, მაგრამ...

ზეიკო – თავი მისკდება.

ნაილი – ამიღობირნი მაქვს, მოგცე?

ზეიკო (ჰაუზა) – მაიტა.

ნაილი იღებს ჩანთიდან ნამალს, მერე მიდის წყლის მოსატანად ჭიქით ხელში. დერეფანში გაივლის ალიოშა და მცირე ხანს შეჩერდება შემოსასვლელი კარის ზღურბლზე.

ალიოშა – მამაშვილურად გელაპარაკებით და გამიგეთ – ოთახებში პაპიროზს ნუ მონწევთ! ოთახებში პაპიროზს ნუ მონწევთ! ბიჭო, თხას რომ ასტავლიან გზას ჭიშკრისკენ, შეიგნებს, გეიგებს და მიზვანცალდება იქანე. ამ ხალხმა რით ვერ გეიგეთ, ო-თახში გელაპარაკებით პაპიროზის მონწევა არ შეიძლება! ყველაფრის კაპაუსტიაკება რავა იქნება! დისციპლინაა, ბიძია, აქანე საჭირო,

დისციპლინა! თუ არ გინდა, დეიხურე ქუდი და ნადი! (შიდის). გათახსირდა ხალხი!

ზაიკო (ნამალი ჩაყლაპა და წყალს აყოლებს). — ამ კაცზე რეაქცია აღარა მადებს.

ნაილი — ჰო, მეც ისე მესმის მაგის ხმა, თითქოს სადღაც, სიზმარში ვიყო.

ზაიკო — რა ქენით, იყავით გუშინ ავერინ(ცეცხე)?

ნაილი — ვიყავით, მაგრამ ნეტავ არ ვყოფილიყავით. ჯერ ხო შეყვანით მე შევიყვანიე, მერე მოვიფიქრე, ადგილი ვუშოვნე, დავსვი ბიჭი... დამთავრდა ლექცია, დაკრა ფეხი და გაიქცა. არც გამიგია რას ლაპარაკობდა ის კაცი, მთელი გულით ამისკენ ვიყავი და ოხერმა ჩამიყარა წყალში ყველაფერი. ეხლა კინოს ბილეთებიც მე უნდა ავუღო.

ზაიკო — რას იზამ, როცა კაცს თვალები სადღაცა აქვს...

ნაილი — ვაი, ღმერთო! ჩემთვის არაფერი არ არის ამქვეყნაზე! (პაუზა). ოხ, მაგასთან თუ შევედი სახლში, მერე მილიციის ძალით ველარ მომიშორებს! (პაუზა). ისე საკმაოდ ეშმაკია, რომ გგონია ცაში დაფრინავსო, ნურას უკაცრავად. იცი, როცა რაღაც სუფთა გინდა ადამიანს, რაღაცა ნათელი და უცბად ტალახში გადაგიყრიან ყველაფერს... (ნერვიულობს, თვალები უხველდება).

ზაიკო — კარგი ქალო, გეყოფა, განყდა საკაცეთი?

ნაილი — ჩემთვის ყველაფერი განყდა.

ზაიკო — ის როლანდია თუ ვილაცა, აღარ დაურეკია?

ნაილი — ის, მგონი, მოკვდა საერთოდ.

ზაიკო — კაი, გეყოფა (იციინან).

შემოდინ მაგდა და ნოსრევანი

მაგდა — სალიუტ! რავა ხართ ბებრებო, რა ცხვირჩამოშვებულები ზიხართ. (ნაძაღდევი სიხარულით).

ნაილი — რა ვიცი, გენაცვალე, შენმა ქმარმა ნევროსი აქვსო, ფეხზე ვერ დგასო, მწოლიარეო...

ნოსრევანი — მორჩა რა, როგორც იქნა, მადლობა ღმერთს...

მაგდა (ხუმრობით) — ჩემი ქმრის ლაპარაკი რა მოსატანია აქ. ნევროზის დედა არ ვატირე. შენა თქვი ეგ ნოსრევან? (იციინის).

ნოსრევანი — ნუ ფაქტია ფეხზე ვერ იდექი და აბა რას ვიტყვოდი.

მაგდა — გადი, თორემ გაქკარი ეხლა, ფაქტებით არ დამიწყო ამან ლაპარაკი. იატაკის ხეხვიდან დაწყებული ჰაიზენბერგით დამთავრებული ტვინი გადაბრუნებული მქონდა. იქით სადილი ამზადე, ურეცხე, უუთოე და მწოლიარედ გამოგაცხადებენ მერე... მომანვეინეთ ერთი, თქვენი სიგარეტი!

ნოსრევანი — მაგდა, შენ რა მოგდის, მე ვერ გავიგე მაინც.

მაგდა — რა მომდის და ის მომდის, რომ დაუნახავი და უმადური ხარ ნოსრევან, შენც და სხვებიც.

ნოსრევანი — კაცო, მე ვერ გავიგე ამ ეხლანდელი ქალების, ყველაფერს გამადლიან აბსოლუტურად... ვინ სხვები, ჯერ ვერ გავიგე, ვინ სხვებზეა ლაპარაკი?

მაგდა — კარგი ახლა, თავი დამანებე, ძლივს ამოვიდგი ენა, მართლა.

ნოსრევანი — რალა გალაპარაკებს მერე, ვერ გავიგე, რა გინდა, მაგდა, შენ, არ მესმის.

ზაიკო (ნოსრევანს) — ნოსრევან! თავი მაქვს გასკდომაზე!

ნოსრევანი — გასკდომაზე ხომ?.. თქვენ ელემენტარულად არ განყოთ ამ საკითხზე ლაპარაკი.

ნაილი — სამსახურში ოჯახური ნატაციების კითხვა არ გამიგია მე.

მაგდა — კაი, ხო, შეეშვი, ილაპარაკოს.

ნოსრევანი — მაგდა, რას ჰქვია ილაპარაკოს, ვერ გავიგე მე... შენ იცი, რომ დღევანდელ ქალებს ელემენტარულად აღზრდა გაკლიათ? აღზრდა, აი, რასაც ჰქვია აღზრდა, ნორმალური აღზრდა! თქვენ ელემენტარულად არ იცით, რა არის მოვალეობის მცნება.

მაგდა — ჯერ-ერთი ცნება და არა მცნება, და მეორეც, თუ შეიძლება ცოტა ხმას დაუნიე ვაუბატონო, სახლში არა ხარ, მე მგონი.

ნოსრევანი — ცნება ხო, ცნება, მოვალეობის ცნება.

მაგდა — ვალდებულებაზე ლაპარაკობ შენ.

ნოსრევანი — ელაპარაკე ახლა ამათ, მე ვალდებულებაზე არ ვლაპარაკობ, მე ვლაპარაკობ მოვალეობაზე, მაგდა.

მაგდა — რა განსხვავებაა, უნდა იცოდე მერე მაგათ შორის.

ნოსრევანი — რა განსხვავებაა? როგორ რა განსხვავებაა?.. (პაუზა.) მე არ მაინტერესებს ეხლა, რა განსხვავებაა... მაგდა, მე ვერ გავიგე, შენ ლოგიკა გაქვს?

მაგდა — მე არ ნაგიკითხე გუშინ, როგორ განსხვავებენ ბერძნები მოვალეობას და ვალდებულებას?

ნოსრევანი — მე არ მაინტერესებს, მაგდა, გუშინ რა ნამიკითხე, მე ვლაპარაკობ ელემენტარულად შენზე... შენ კი არ გინდა მომისმინო... (ყვირის და მუშტს ურტყამს მაგიდას).

მაგდა (შეცბუნებულია). — ჰო, კარგი, გისმენ ბატონო.

ნოსრევანი (მშვიდად იწყებს). — ოჯახის ფენომენზე ვლაპარაკობ. ოჯახი არის

ელემენტარულად კაცის და ქალის ურთიერთობა. სიყვარულზე არ ვლაპარაკობ მე. სიყვარული თავისთავად იგულისხმება, სიყვარულის გარეშე ელემენტარულად არაფერი არ იქმნება. სიყვარულის მერე მოდის ვალდებულება... საფეხურებად... არა, ბოდიში, მოვალეობა, მოვალეობის მერე მოდის დათმობა... დათმობა ანუ ელემენტარული მორალური კათარზისის გრძნობა...

მაგდა (ტირის).—ამათ ხელში ნევროზი კი არა, სული რომ მიდგას, არ გიკვირთ საერთოდ...

ნოშრავანი — ა, ელაპარაკე ესლა... (ხელს ჩაიქნევს).

ნაილი — ოჯახური სცენების ადგილი არის ოჯახში და არა სამსახურში, ჩემო კარგო.

ნოშრავანი — სცენა რა შუაშია, მე ოჯახურ პრობლემებზე ვლაპარაკობ კაცო, ბოლო-ბოლო შეიგნეთ, რა.

ნაილი — შენ მაგას ატრიალებ შენი დღე და მოსწრება, აღზრდა, მოვალეობა, ჯანდაბა და დოზანა (პაუზა.) თან რატომღაც, მარტო ქალზე ხეობა ეგ ყველაფერი.

ნოშრავანი — მე ვერ გამოვიტყვი კაცო, ზეიკო, შენ ოჯახში არ დგას ეს პრობლემები?

ზაიკო — ეჰ, ჩემო ნოშრევან, ბედნიერი კაცი ხარ. ეგ პრობლემები მე უკვე აღარ მანუხებ. ერთი ჭკვიანი კაცის სიტყვით რომ ვთქვა, ჩემს ცხოვრებაში ფელეტონის ეპოქა დადგა.

ნოშრავანი — ეგ როგორ გავიგოთ?

ზაიკო — აი, ნაიკითხე „მიძვებით თამაში“ და გაიგებ.

ნოშრავანი — თავი დამანებეთ სუყველამ. წასაკითხი იმდენი მაქვს, ჯერ ბალზაკი არ დამიმთავრებია. სულმოუთქმელად ვკითხულობ. ბალზაკს რომ მოვრჩები, მერე „ნითელი და შავი“ უნდა წავიკითხო. დედას ვუტირებ! შევჭამ!.. ეჰ, მე მგონი მაინც მიქარე აქ რომ დაეინყე მუშაობა. საერთოდ მე თუ მკითხავ. ცოლ-ქმარი ერთად არ უნდა მუშაობდეს, იგივე ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. მეც უნდა შევეშვა ამ დამპალ ჰუმანიტარობას, ვაფშე დავხვე ჩემს ნანერებს და წავალ „ბუტკას“ გავხსნი, ერთ-ორ კაპიკს გავაკეთებ.

ნაილი — აი, ეგ უფრო ჭკვიანურია. ოჯახს სჭირდება საქმე და არა ლაპარაკი, ძვირფასო.

ზღურბლზე გამორჩდება ალიოშა

ალიოშა — რავა ხართ, ჭანჭიკებო? უხ, ის დრო იყოს ახლა, რაფერ გოუშვებდი აგენს. აგენი უნდა დაიჭირო და დაძიძგნო ყველანი.

ნოშრავანი — რაშია საქმე, ბატონო ალიოშა?

ალიოშა — მე აქარევის ბატონი არა ვარ. პატრონ-ყმობა გადავარდა დიდხანია... რაშია საქმე თუ გეინტერესება, გეტყვი — ჩვენ დროს სხვანაირად იყო, ბიძია, რომ დენახავდნენ უდისციპლინობას, მოკიდებდნენ კაცს ხელს, გააბრძანებდნენ კონნსკვრით კარში და ნახვამდის მერე... ვინ მამა-ძალით გაბედვდა სიტყვას, არ მიახიკვდილებდნენ იქავე? ეშინოდა ხალხს, ჩემო მიშა და შიშა ასტავლა მუშაობა...

ნოშრავანი — ნოშრევანი!

ალიოშა (ვითომ არ ესმის). — სანამ ის დრო არ მობრუნდება, აგენი ჭკუას ვერ ისტავლიან. ა, (ხელს იშვერს) ნევენ პაპიროსს და ყრიან აქანი, პოლზე! დღეს, ხუთ საათზე, ყველა, როგორც ერთი, თათბირზე! მეორედ თქმა არ დამაჭირვოთ, თვარა სხვანაირად ვიტყვი მერე (მიდის).

ნოშრავანი — აქ რა ხდება, ვერ გაიგებ. რა თათბირზე ლაპარაკობს ეს კაცი?

შემოდის ჯანო.

ჯანო — დღეს თათბირია, რა, არ იცოდით? აბა, ილოცეთ, რომ მოხვედით. (იციინს). კონიამ თუ ნახა, რომ თათბირზე არა ხარ, მერე ბოდიში და, თუ გინდა ყოველდღე იარე, დასკვნა ერთია — სამსახურში არ დადიხარ. ჯვარი გწერიათ ყველას, მაგრამ უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე (ჯდება თავის მაგიდასთან, სცენის სიღრმეში და განაგრძობს კითხვას).

ნაილი — მარტოხელა კრეტინი! (იციინს, ზეიკოც იღიმება).

ჯანო — დამცინით?

ნაილი — მე არ დაგცინით, ეს მგონი თქვენი სიტყვებია.

მაგდა — მაინც არ არის სათქმელი, ჩემო ნაილი.

ნაილი — მე მგონი მესმის, რა არის სათქმელი და რა არა.

ნოშრავანი — მაგდა, რამდენჯერ უნდა გითხრა, — სხვის საქმეში ნუ ერევი.

შემოდის სალომე

სალომე — გამარჯობათ!

მაგდა — ოო, სალომჩიკ, რავა ხარ სალომე, მოდი, გაკოცო (კოცნის).

სალომე — როგორა ხართ? (ლაპარაკობს ნაზად, უცნაურად).

ზაიკო — რა ლამაზი კაბა გაცვია?

სალომე — ვაიმე, მართლა თუ მატყუებთ?

მაგდა — რას გატყუებთ, კაცო, შენ ავად ხომ არა ხარ?

სალომე — ავად არა ვარ, მაგრამ მაინც არ მჯერა! იცით, მე მეჩვენება, რომ გამუდმებით მატყუებენ და საერთოდ, როცა სამსახურში მოვდივარ, ყველა ცვივად მიყურებს.

ნაილი — ეგ პალუცინაციაა!

ნოზრავანი (ჩუმაღ). - გაჩერდი, რეებს ეუბნები.

ნაილი - მაგას სჯობია ასე ელაპარაკო, მინც ტყუილი ჰგონია ყველაფერი.

სალომა - არა! ეს არ არის ჰალუცინაცია, მე ამას ცხადად ვხედავ. მე ზოგჯერ იმასაც ვხედავ, რომ ჩემი უბედურება სხვებს უმსუბუქებს საკუთარი უბედობის განცდას, თუმცა ამის გამო არავის არ ვამტყუნებ. ნურაფერი გაგიკვირდებაო, ამბობდნენ ძველი რომაელები, მაგრამ იცით, მე პირიქით, ყველაფერი მიკვირს...

ნოზრავანი - როგორ არის ლათინურად ეგ გამონათქვამი? არა, ვიცოდი და დამავიწყდა, იმიტომ გეკითხები.

სალომა - არ ვიცი, ნოზრევან, არ მახსოვს, სადღაც ამოვიკითხე... აი, დღესაც არ ვაპირებდი მოსვლას, მაგრამ თათბირიო, შემატყობინეს და იმიტომ მოვედი. ჩემი ექიმი მეუბნება ხალხში იყავიო, მე კი ხალხში ყოფნა უფრო მიჭირს. საიდან ისმის, ღმერთო ჩემო, ბეთსოვენის მეშვიდე სიმფონია? (**რადიოში ჟღერს მეშვიდე სიმფონიის მეორე ნაწილი.**) ნოზრევან, აუნიე! (**ნოზრევანი ოდნავ უწევს.**) იცით, ზუსტად ამ სიმფონიას ვუსმენდი, მერე სახლიდან გამოვედი და კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, დავინახე ძირს ყავისფერი მუყაოს ქალღალი ეგდო, ავიღე ხელში და ღმერთო დიდებულო, რა ნახა ჩემმა თვალებმა, ქალღალღზე ჩემი სახე ეხატა... მაგრამ, იცით, ისეთი საშინელი, - დაძიძგნილი, დასკრილი, დაფურთხებული... ავიღე და გადავისროლე, მერე გულმა ველარ მომითმინა, კიდევ დავწვდი და ავიღე. ის ბიჭი წარმოვიდგინე, ვინც ნახატი დახატა. საწყალი, ალბათ სადარბაზოში იჯდა კიბის საფეხურზე და სიცვიისაგან მუხლები უკანკალებდა. ხატავდა საცოდავი და თან არანორმალურად ეცოდებოდა თავის ნახატი. ვფითანით გამოვევარდი ქუჩაში, მაგრამ ჩემი ბედი რო ვიცი, რალას ვიპოვიდი... მერე ყველა უბედურება ერთად დამატყდა, - ტლაპოში ჩავდგი ფეხი, პალტოს კალთაც ამოვგანგლე ტალახში, ჯანდაბა, ოხრობა, დოზანა... ავტობუსში ვიღაც ბოშა ბიჭი იდგა ფეხშიშველი, მათხორობდა, ხატვა ხომ არ იცი-მეთქი შევიკითხე, მინც ც, ყოველი შემთხვევისათვის... არაო, და ფულიც ისე უგემურად გამომართვა... ღმერთო! ყველაფერი დაემთხვა და მიეწყო ერთმანეთს... დღეს ნამდვილად რალაცა ხდება...

ჯანო - დღეს თათბირია. სხვა რალა უნდა მოხდეს, არ ვიცი.

ნოზრავანი (იცინის). - თქვენთვის ეგ არის არა ყველაზე დიდი უბედურება?

ჯანო - ჩემთვის ასეა და თქვენი არ ვიცი.

სალომა - როგორ, ბატონო ჯანო, თქვენ ასეთი განათლებული კაცი ხართ და ნუთუ ბედისწერის არ გჯერათ?

ჯანო - ქალბატონო სალომე, ჩემთან არ გინდათ ეგ ლაპარაკი, ჩემზე გაუნათლებელი კაცი ქვეყანაზე არ მეგულება და მეორეც: მე მჯერა მარტო იმის, რასაც ვხედავ, ჩემო ბატონო, ე. ი. აქედან დასკვნა, მე მჯერა, რომ დღეს არის თათბირი (**იცინის**).

ზაიკო (დგება) - ვისაც ყავა გინდათ, ნამოდით.

ნაილი - დაიცა, ქალო, სად მიდიხარ.

ზაიკო - დავიღალე, არ მინდა სამსახურში მოვკვდე.

ნაილი - მაიცა, მეც მოვდივარ (**იღებენ ჩანთებს და მიდიან, ნაილი კოკეტურად მიაჩვენებს ტანს**).

მაგდა - კი არ გეტყვიან ნორმალურად, ნამოდი, ან - დაგიცდით ან რალაცა.

ნოზრავანი - კაი, მაგდა, არ გინდა, ეგეთი ლაპარაკი. ყველას თავისი გაჭირვება აქვს. (**პაუზა**).

მაგდა - ხო, მართლა, შენს ნათქვამზე გამახსენდა, სალომე ძვირფასო, გუმინ მე და ნოზრევანმა პლატონის სული გამოვიძახეთ.

სალომა - ვაიმე, მართლაა?..

ნოზრავანი - მაგდა, გაჩერდი, რეებს უყვები, ადამიანს ნერვები აქვს ისედაც მოშლილი.

სალომა - არა! არა! მე არა მაქვს ნერვები მოშლილი. მე ჩემი განცდები მაქვს და მაპატიეთ თუკი შეგამფოთეთ ჩემი განცდებით. მოყვი, მაგდა, ძალიან გთხოვ, რა გითხრათ პლატონის სულმა?

მაგდა - რა გვითხრა და ისეთი რალაცა გვითხრა, ჩემო სალომე, რომ მართლა ცას ვენიე სიხარულით.

სალომა - ჩქარა, ჩქარა, მაგდა, მოყვი რა, რა ჰკითხე.

მაგდა - ხო, რა ვკითხე და ნოზრევანზე ვკითხე, ნოზრევანი ხო უკვე სერიოზულად წერს. იტანჯება კაცი, რა ქნას, წეროს თუ არ წეროს, არ იცის, ჰოდა, როგორ მოიქცეს-მეთქი, დავეკითხე.

სალომა - კი, მაგრამ, რალა პლატონი გამოიძახეთ, პლატონს ხომ არ უყვარდა პოეტები?

მაგდა - სწორედ იმიტომ, რომ პირუთენელად ელაპარაკა ლექსებზე, ნოზრევანს ისიც ეყოფა, ტყუილად რომ უქებენ ლექსებს. (**ნოზრევანი კმაყოფილი სახით უსმენს, ჯანო თავს აიღებს, ფანქარს დადებს და ცალი ყური მათკენ აქვს მიპყრობილი**).

სალომა - მერე, რა გითხრა?

მაგდა - წეროსო, მითხრა, მხოლოდ ნამდვილად თავის ლექსებს მაშინ დანერს, როცა ბინას მიიღებთო.

სალომე – მართლა? მალე მიიღებთ ბინასო?

მამდა – კი, მალეო.

სალომე – რამდენოთახიანსო, მაგდა, ჩქარა, თქვი!

მამდა (გახარებული, ნიშნისმოგებით). – აი, მაგას კი აღარ გეტყვი!

სალომე (დანადვლიანდა). – რატომ?

მამდა (გახარებული, დაფეთებული-ვით ნამოხტება და ყვირის) – ხუთოთახიანსო! წარმოგიდგენია?

სალომე (გახარებული). – ვაიმე, მომი-ლოცავს!

ჯანო გაკვირვებულია, მაგდა მოკიდებს ნოსრევანს ხელს და ცეკვა-ვენ. რადიოში ჟღერს საქორწინო მარში. მაგდა და ნოსრევანი მუსიკის ფონზე ნანყვეტ-ნანყვეტ ფრაზებს ისვრიან.

მამდა – გავაკეთებ ჩულანს!

ნოსრევანი – მოვიწყობ კაბინეტს!

მამდა – დავწერ მონოგრაფიას! ვივა პროფესორე!

ჯანო ნამოდგება, უახლოვდება მოცე-კვავეებს და გაკვირვებული უცნაურ გამომეტყველებას იღებს. სალომე კი მუხლებზეა დამხობილი, სიხარულის ცრემლებს ისოცავს.

სალომე – ღმერთო, რა ბედნიერები ხართ, რა ბედნიერები ხართ რომ იცოდეთ! (მუსიკა წყდება და ნოსრევანი და მაგ-და ჩახუტებულები დგანან).

ჯანო – მერე, თქვენ გჯერათ ეს ყვე-ლაფერი?

ნოსრევანი – რას ჰქვია გჯერა, არ თქვით ახლა, მე არ მჯერაო.

ჯანო – მე, რა თქმა უნდა, არ მჯერა.

სალომე – დაიჯერეთ, ბატონო, ჯანო, ძალიან გთხოვთ, დაიჯერეთ.

ჯანო – არა, ბატონო, მაგ სისულელეს ვერ ვიზამ.

მამდა (გაკვირვებულია). – როგორ, სპირიტუალში, ოკულტიზმი, მაგია...

ჯანო – მაგათ ჯვარი სწერია, ეგენი ხომ არა და არ მწამს.

ნოსრევანი – მაგდა, ხედავ, ოკულტი-ზმიც არ სწამს! (აღშფოთებულია).

მამდა – შენ ვინ გეკითხება მერე, დაჯექი აქ!

სალომე – ნოსრევან! დამშვიდდი!

ნოსრევანი – გამიშვი მაგდა, მინდა ვე-ლაპარაკო კაცს.

(მაგდა და სალომე კვიან და ხელებზე ეკიდებიან ნოსრევანს, ნოსრევანი მაი-ნც მიიწევს ჯანოსკენ, მას ჯანოს მაგი-დასთან აჩერებენ. შეშინებული ჯანო კუთხეშია მიჭექყილი).

ჯანო – მე არ დამარტყა, ბიჭო.

ნოსრევანი – შენისთანებს უნდა წასცხ-ოს კაცმა (ვოტა, მოუხდებთ...

ჯანო (გაბრაზებული გარბის, კარე-ბთან მობრუნდება) – ვიცით, ბატონო, ძიუდოზე რომ დადიოდით...

კარის ზღურბლზე გამორჩდება ალი-ომა და ერთ ნაბიჯს გადმოდგამს.

ალიომა (შემზარავად იცინის). – რა, მუშტი-კრივზე გადადით უკვე? ეჰ, აქაურო-ბას არ ეშველება არაფერი... ვის გაქვთ კაი პაპიროზი, მომანვეინეთ ერთი! (უნვდიან სიგარეტს.) მუშტი-კრივს კი არა, ზედმეტ სიტყვას ვინ გაბედავდა, შვა ომში სწარი-ადები რომ იყებოდა ქერეხივით, ხო?... გაი-სმებოდა თვარა ცხონებული ბრძანება, როგორც ცხვრის ფარა რომ გინახავს, ისტე გაკმწკრივდებოდით დიდიაპატარიანა, მივდიოდით შუბლით... შირდაპირ... უხმოდ, ულაპარაკოდ! სიკვდილი ეწერა თუ სიც-ოცხლე, კაცმა არ იცოდა! აგია დისციპლი-ნა? (ხელს იშვერს ოთახისკენ). დისციპ-ლინა თუ არ გაქვს კაცს, ხო? იილე თოკი, გასკვანჩე, გესმის, ქეროზი და ჩამეიკიდე თავი! ნოლი იქნები დღე და მოსწრება!

...ბჭო, აქანე მოდისარ, წიგნიერი კაცი ხარ, უმაღლესდამთავრებული კაცი ხარ, გა-აკეთეც ოხერი საქმე, რაც გაქვს, წერე, დის-ტავლე, წეიკითხე და წადი მერე სახლში... რავე ყველაფერი უწესობა აქ უნდა მოხდეს... სამსახურში ქალს რავე დოუნყებ ბლოტიალს, მუშტს რავე გოუქნევი ვილაც ოხერ-მამაძალ-ლს სამსახურში? (მობრუნდება და გადის) რა არ ხდება კიდევ აქანე, კაცმა არ იცის! აგერ, აა, უყურე, ჩამოვარდება ეს, დაიბრე-გვება ვილაცას თავზე, მერე მომაცივლებენ მე! არ ვარგა ასე, არა! გაპუსტიაკდა ყვე-ლაფერი!. ჩამაგდებინა აგენის თავი ხელში, ვასწავლიდი ცხოვრებას ამ გაძალღებულე-ბს! ისტრებიტ ნუჟნო იხ ვსენ!

● **ნაილი და ნოსრევანი. იგივე ოთახი. ბინდი დგას.**

ნოსრევანი – რას შერები ნაილი, რა-ლაც მონყენილი ჩანხარ.

ნაილი – მხიარულები იმ ოთახში არიან, შეგიძლია მიაკითხო, ძვირფასო, და საე-რთოდ, მეუღლე უყურადღებოდ არ უნდა დატოვო... არც ერთი ნუთით! (ირონიულად ილიმება).

ნოსრევანი – ნაილი, გინდა ერთი კარგი ლექსი გითხრა. ამ ლექსზე სულ შენ მაგონდები ხოლმე და შენთან ყოფნა მინდება.

ნაილი – აბა, მიდი.

ნოსრევანი – მთლიანად არ მახსოვს. ეგრე თავდება: „ეს იყო გუშინწინ და დღესაც ვინახავ მტვერს თრობამორეულ ყვავილის...“

ვინ იყავ? სადა ხარ? ვინა ხარ? ვინა ხარ? ნაილი! ნაილი! ნაილი!

პაუზა.

ნოშრევეანი (სერიოზულად). — მე შენთან მოვედი. რა, არ შეიძლება? (**შკლავზე ხელს ჰკიდებს.**)

ნაილი — შენი ჭირიმე, ნოშრევეან, სიცხისაგან ვიხრჩვევი, კიდეც შენი ხელების ფათური მინდა სწორედ.

ნოშრევეანი. (შეცბუნებულს ხელი უკან მიჰქაჩვს). — დავიჯერო არავის აღარ მოვწონვარ, ამის დედა ვატირე?

ნაილი — შემიშვი, რა, თუ ღმერთი გნამს.

ნოშრევეანი — რა, დავიჯერო, მართლა ასეთი სამინელი ვარ?

ნაილი — მეშინია, ბატონო, შენი ცოლის, თან მცხელა, გავიხვითქე ოფლში.

ნაილი სკამზე ზის, ნოშრევეანი იქვე მაგიდაზეა ჩამომჯდარი, მერე წინ გადაიხრება და ყელში კოცნის ნაილის. ნაილი გარინდულია. ზუსტად ამ დროს ჩნდება კარებში ალიოშა, რომელიც უხმოდ უთვალთვალებს მათ.

ნოშრევეანი (შორდება ნაილის და მიდის დარბაზისკენ). — დავიჯერო, არავის აღარ მოვწონვარ? დავიჯერო, არავინ აღარ შემიყვარებს?

სინათლე აშუქებს ნოშრევეანის სახეს. ირგვლივ ბნელდება. ალიოშას გამოსახულება გაქრა. თითქმის ნაილიც აღარ ჩანს. ნოშრევეანი ხუჭავს თვალებს და ოცნებობს. რადიოში უღერს დაბალ ხმაზე სინანულნარევი სასიყვარულო მელოდია. ნოშრევეანი კითხულობს საკუთარ ლექსს.

ნუთუ არავის აღარ ვუნდივარ? ო, მოირებო, მომიტანეთ, ძალიან გთხოვთ, ამბავი ჩემი ბედისწერისა, მაუნყეთ ხვედრი საშიშარი ნოშრევეანისა, რამეთუ გული აღარ აღვსილა რახანია ტრფობის სამსალით, გარნა რას ვიზამ, ფეხზე ვდგავარ ვით ანთეოსი და ტვინს მიჭამენ უცნაური მაჯლაჯუნები... აღზევებულნი, მცონარენო ამა ქვეყნისა, მე თქვენზე მძაფრი ძალმიძს ტრფობა, რამეთუ სული, ვითარცა გემი „ტიტანიკი“ ქარიშხლებში ამოვკატარე და დვავადე ბოლო-ბოლო სიყვარულის უშველებელ საკურთხეველთან.

(**მუსიკა წყდება.**)

ზაიკო (შემოდის). — მაგარი სცენაა! მაგადა ტირის, ნოშრევეანი ამშვიდებს.

ნაილი — რა იყო, რა მოხდა?

ზაიკო — რა იყო და საყურეები მოპარეს.

ნაილი — ვის, ქალო?

ზაიკო — მაგდას.

ნაილი — რა ვიცი, ნოშრევეანი ნელან სიყვარულს მიხსნიდა! დაიღვრა პირდაპირ!

ზაიკო — ვაი! ეგ საწყალი! (**პაუზა**). მილიონჯერ მაქვს ნათქვამი, მაგდა, ნუ ტოვებ მაგიდაზე ჩანთას, მაგდა, ნუ ჰყრი მაგიდაზე საყურეებს, მაგდა ასე, მაგდა ისე... გაგიგია? დაყრის ამ ზინტიან მაგიდაზე ცხვირსახოცებს, საყურეებს, საათებს... სად გაიზარდე, ვინა ხარ, ჩვარი რო ჩვარია, ის მაინც აილე და გადამინდე მაგიდა ერთხელ შენს სიცოცხლეში... (**ხელს ჩაიქნევს.**) სულლების გამოძახება რომ გინდა, სუფთა მაგიდასთან გამოიძახე ის სული, პლატონი იქნება თუ ბაზი...

ნაილი — მაგასთან ვერაფერს ვერ ვჭამ, რო ვუყურებ ამ ტურტლიანი ხელებით მზადებას... ქალი ხარ მართლა, შენი თქმისა არ იყოს, სახლში შედიხარ მთელი დღის ნასამსახურალი, ხელი არ უნდა დაიბანო? ესლა ისე კი არ მინდა გამომივიდე, მაგრამ მე რაც თავი მახსოვს, წყალთან ვდგავარ და ვიხეხები... რალაცნაირად, იცი, ჩვევაა თუ რალაც ვანდაბა ჩემი, სხვანაირად როგორ უნდა ვიყო, ვერც წარმომიდგენია. (**პაუზა**).

ზაიკო — აქ ვილაცას კლეპტომანია ჭირს ნაღდად, თორემის ქეციანი საყურეები ვის რად უნდოდა. კსტანი, დღეს თათბირია, რაზე, არ იკითხავ?

შემოდის სალომე.

სალომე — ხალხნო, არ გამამხილოთ, მე ვიცი ვინ მოიპარა საყურეები... (**გაკვირვებულები შესცქერავენ**), ვინ მოიპარა და პროფესორმა, აქ რომ დადის. (**ფრთხილად წარმოთქვამს**).

ნაილი — რეებს ბუჭტურებს, ქალო, ვინ პროფესორმა, აქათასი პროფესორი დადის.

სალომე — აი, ბებერი პროფესორი, სულ რომ იღრიჭება რალაცნაირად, რუსთაველის საფლავი ვნახეო, რომ ამტიციებს. მე რატომღაც მკვდარი მეგონა, ეგ კი მოვიდა და საყურეები მოიპარა მაგ უსინდისომ. როგორ უნდა დანვრილმანდე ასე ადამიანი.

ნაილი — არ შეიძლება ასეთი რამე დაბრალო კაცს, რომელსაც არ იცნობ. (**სალომე განანწყნებული გადის**).

შემოდის კოკი

კოკი (ირონიულად). — ვახლავარ საზოგადოებას!

ზაიკო — შენ საერთოდ რა სინდის-ნამუსით შემოდეგი ფეხი დღეს სამსახურში, მე წარმოდგენა არა მაქვს.

პოპი – რა იყო, ზეიკო, გენაცვალე, რა მოხდა?

ნაილი – მაგდას საყურეები მოპარეს (იციან).

პოპი – მე რა ვქნა მერე, მეძებარი ვარ თუ რა? ისე ჩვენში დარჩეს და ჩემზე ხომ არა გაქვთ ეჭვი?

ზაიკო – შენ სიტყვას ბანზე რატომ მიგაღებ?

პოპი – რა გინდა, გენაცვალე, გისმენ.

ზაიკო – დესერტაციიზე რატომ არ დამპატიუე?

პოპი – დესერტაციაზე მე დაგპატიუე, შენ ეგ ძალიან კარგად იცი, რატომ არ მოხვედი, ეს უკვე ძე-ხორციელმაც კი არ უწყის.

ნაილი – საყურეზე რას იტყვი? (იციან).

პოპი – საყურეზე იმას ვიტყვი, ჩემო ნაილი, რომ თავი მომჭერთი თუ ეგ საყურე ნოსრევანის მოპარული არ იყოს.

ნაილი – ო, თქვა ამანაც რა... ქმარი ცოლს რატომ მოპარავდა საყურეს?

პოპი – გეტყვით რატომაც: არაფრის გამო. სხვათაშორის ადამიანი ამქვეყანაზე ყველაფერს გამიზნულად კი არ აკეთებს, ხშირად ჯერ აკეთებს და მერე ფიქრობს, რატომ გავაკეთეო. ნოსრევანის საქმე კი მთლად კარგად ვერ არის. უკვე სცენა გათამაშდა, ჩემო ბატონო, ცრემლები დაიღვარა, ხალხიც ანრიალდა, ეხლა უკვე ველარ დააბრუნებს ნაქურდალს, მაგრამ მთავარი ეს არ არის, ნოსრევანი ქლიავია, მაინც დააბრუნებდა საყურეებს. მთავარი ისაა, რომ ქურდობა, ჩემო კარგებო, მოხდა გაუმიზნავად, გესმის, ნაილი? ქვეცნობიერი ეშმაკების, რალაც საშინელი, ბნელი იმპულსების კარნახით. ეგეთ ნაქურდალს კი ოხუნჯობით უკან ვერ დააბრუნებ. უბრალოდ აქტიორული ნიჭი არ გეყოფა.

ნაილი – ამან მეორე დისერტაცია დაიცვა აქ.

ზაიკო – ნუ აბრაზუნებთ რალაც სისულელეებს. იცით, დღეს თათბირი რაზეა?

პოპი – კადრების საკითხს ვიხილავთო, არა?

ზაიკო – არა, თათბირია ასეთი სათაურით: „ვაშუქებთ ზნეობრივ პრობლემებს ადმინისტრაციული წესით“ – არ მოგნონს?

პოპი – ეგ რალა არის, მე ხომ არ მიპირებთ ჩაქოლვას?

ნაილი – შენ ყველგან შენი თავი ნუ გელანდება.

ზაიკო – თქვენ ხუმრობთ და არ გიკვირთ მართლა, ხალხნო, ჯერ ჩემი ორმოცდაათი მანეთი, ჯანდაბას, მაგრამ მაინც, ფულზე ხომ არ არის, მერე ამ საწყალი ჯანოს საფულე, ეხლა ეს საყურეები... იცი, რა-

ლაც კომპარირით არის. გარედან აქ იშვიათად შემოდის ხალხი, ასე თუ ისე. უნდა იფიქრო აქაურზე ვილაცაზე, არადა, ჯერ მართალიც რომ იყოს, ენა არ მოგიბრუნდება...

ნაილი – ენა არ მომიბრუნდება კი არა, ერთი შევასწრო თვალი და დედას ვუტირებ, ციმბირს დავატოვებინებ უკან.

ზაიკო – მერე რა არის, იცი, ეგეთ რალაცას რომ გაიფიქრებ, შენ თვითონ ცუდად ხდები.

პოპი – ქურდობა სწორედ იმით არის საშინელი, რომ ეჭვებს ბადებს და რალაც აბსურდულ უნდობლობას თესავს ადამიანებში, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა არ იცი, ვინ არის ქურდი... თორემ ისე რა? ვილაცამ აილო რალაცა და ნაილო სახლში. ვითომ რა მოხდა? (პაუზა). მე მენდეთ ძვირფასებო, გულის სიღრმეში, ჩვენ ყველას საყურეების ქურდი გვგონია ერთმანეთი და, სხვათაშორის, შეიძლება ვართ კიდევც.

ზაიკო – მე, პირადად, არც ჩემი თავი მგონია და არც სხვა, მაგას როგორ ვიფიქრებ ვინმეზე.

ნაილი – არც მე, ქალო, რას ამბობ! არ მიჩვენია მოვეკვდე?

პოპი – კარგი ეხლა! ნუ მოიკლავთ თავებს და ნუ ჩანვებით საფლავებში. თქვენ ისეთ რალაცას გაიფიქრებთ და ისეთ რალაცას იტყვით, რომ მე საერთოდ არცკი დამესიზმრება.

ზაიკო (გადახედავს ნაილის და ორივენი გაბრაზებულ-გაკვირვებულები მწარედ იღიმებიან, მერე ზეიკო სერიოზულ გამომეტყველებას იღებს) – ამას უყურე! ვაუბატონო, შენ! საანგარიშოზე რომ გაქვს გათვლილი შენი ყველა ნაბიჯი ცხოვრებაში!

პოპი – რომელ საანგარიშოზე ლაპარაკობ, ვერ გავიგე?

ზეიკო (ნერვიულად) – რომელ საანგარიშოზე ვლაპარაკობ და ნახევარმტატზე აქ რომ ხარ და ნახევარმტატზე იქ...

პოპი (შეცბუნებული) – ეგ ეგრე მოხდა და მე რალა უნდა მექნა...

ზაიკო – კი არ მოხდა, ჩაანყე და გააკეთე, გენაცვალე! იქიდან საზღვარგარეთ გაგიშვებენ სტაჟირებაზე, მოგესხენება...

პოპი – მერე რა, ცუდია?

ზაიკო – ცუდი კი არ არის, საშინელეება, ტრაგედიაა, როცა ადამიანს ყველაფერი წინასწარ დაანგარიშებული გაქვს. შენ ხარ უსინდისო, უსისხლო კაცი! ქალი, მეგობარი, ნათესავი, თვისტომი, ყველა მიზნის მიღწევის საშუალებაა შენთვის.

პოპი – მდაა... დავიმახსოვრებთ მაგას. აქ მტრები მყოლია, რა ვიცოდი...

ნაილი – კარგი ქალო, შენც რა მოგივი-
და, ისე წამოიწი, გეგონება პირველად
ხედავდე ამ კაცს.

ზაიკო – არა, რა არის, იცი? დამიჯღე-
ბა აქ კაი დასტავესკივით და მაგან უნდა
განიკითხოს მტყუანიც, მართალიც, ავიც,
კარგიც, გეგონება სამართლიანობის კვა-
რცხლბეკზე იდგეს, ამ დროს წვრილმანი
კარიერისტია და სასონარკვეთილი ეგოცენ-
ტრიკოსი!

კოკი (მწარედ იღიმება). – ეგ ყვე-
ლაფერი ძალიან კარგი, რაც ჩემზე ითქვა,
მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ არც თქვენა
ხართ ანგელოზები. თქვენ ხართ არა-
რაობები და ამიტომ თქვენთვის ყველაზე
მწარე საკუთარი არარაობის შეგრძნებაა,
ძვირფასო. სხვათაშორის, მაჩაბლისეული
შექსპირის სიტყვები „არარაობაც, დედაკა-
ცი უნდა გერქვას შენ“–ო ყველა ქალზე არ
გეგონოთ ნათქვამი, თქვენისთანებზეა, აი,
თქვენისთანებზე ზუსტად.

ზაიკო (ღრიალებს). – გაეთრიე ეხლავე
აქედან! გაეთრიე–მეთქი, გუუბნები! გა-
ეთრიე!

კოკი (შეცბუნებული). – ნუ ღრიალებ
კაცო ერთი, სახლში ხომ არ გგონია შენი
თავი!

გადის.

**ზაიკო (ერთ ღერ სიგარეტს იღებს
და კოლოფს მოისვრის მაგიდაზე)**. – პაც-
ანა... პაცანა... აი ნამდვილი ქუჩიდან შემ-
ოთრეული გაუზრდელი პაცანა! რეგვინი!
იმან იმას დაურეკა, იმან ამას დაურეკა და
შემოათრიეს ეს მარაზში! ხვალ თავზე აგა-
ცოცდება! საზიზღარი! ტფუ!

ნაილი – აგაცოცდა და ეგ არის, მეტი
რა გინდა, მუშტებს ხომ არ დაგიმენს ცხვი-
რპირში... თავიდან რა მორიდებული იყო,
გახსოვს?

ზაიკო – მორიდებული... მორიდებული
არ უნახავს საერთოდ მაგას... მორიდე-
ბული... მორიდებული კი არა, ენა ჰქონდა
ჩავარდნილი და ამოიდგა ეხლა ამ კრე-
ტინების ხელში! კრეტინი! კრეტინი! ვინც ეგ
აქ შემოიყვანა და ვინც მაგას გუნდრუკს
უკმევს აი, იმას უნდა ამონიკნოს ის ბრმა
თვალები!

**შემოდან ნოშრევანი და მაგდა. მაგ-
დას სურსათით სავსე ჩანთა მოაქვს.**

ნოშრევანი – კარგი რა, მაგდა რა, აღარ
შემიძლია, ბოლოსდაბოლოს ბედობაა დღეს,
დაგავიწყდა?

მაგდა – ბედობა რომ არის, რა ექნა,
კაცო, მერე, დამებედა და მორჩა, უკან ხომ
ვეღარ დავიბრუნებ.

ნოშრევანი (ზეიკოს და ნაილის). – რა
იყო, ხალხნო, რატომ განანაწყენეთ კოკი?

ზაიკო – განანაწყენეთ კი არა, მაგის
ფეხი აღარ დავიხანხო აქ. (ნაილი იცინის,
ზეიკო დგება და ნერვიულად მიმოდის
ოთახში).

ნოშრევანი (მაგდას). – მთავარია
დარდი არ დაგებედოს, მაგდა! დარდი თუ
დაგებედა, მთელი წელი იდარდებ! ამიტომ
ჩქარა დაივინყე, გესმის? დაივინყე, დაივი-
ნყე... ის კი არა, ღმერთმა შეარგოს ვინც
ნაილო, ეტყობა ეგრე იყო საჭირო.

მაგდა – საჭირო... თორემ მე შენ გეტყვი,
მინყვია სახლში, ხომ იცი.

ნოშრევანი – შენ შეიძლება მაგი სახ-
ლშიც კი დაგჩნა, მაგდა.

მაგდა – სახლში არა, ტოროლა, აქ მოვი-
ხსენი... მოდით რა, მომეხმარეთ, ხალხი არა
ხართ!

**ქალები საწერ მაგიდაზე შლიან სუ-
ფრას. კარადიდან იღებენ თეფშებს, ჩან-
გლებს, კოვზებს. მერე მაგდას მოტანილი
ჩანთიდან საწოვავსაც ამოაწყობენ
სუფრაზე. სუფრა განყობილია. ნაილი,
ზეიკო და მაგდა უკვე აპირებენ დასხ-
დომას. ზეიკო ვალერიანის წვეთებს
სვამს.**

ზაიკო – მომშალეს ნერვებზე.

ნაილი (მაგდას). – რომელი საყურე
გეკეთა, მაგდა?

მაგდა – დედაჩემის ნაჩუქარი.

ნაილი – უი, რას ამბობს, ის ნაცრი-
სფერები?

მაგდა – ხო, იმიტომ მეწყინა, თორემ
რომელი სამკაულის გიყი მე მნახეთ.

ზაიკო – მაგიდაზე არ უნდა დაგიყარა.

**მაგდა (გრძელდება სუფრის სამზადი-
სი)** – კაციშვილი არ შემოსულა გარედან,
ესეიგი აქაურმა ამწანა ვილაცამ, როგორ
უნდა მომიბრუნდეს ენა...

ნოშრევანი (აღელვებული). – მორჩირა,
შენი ჭირივე, მოსახდენი მოხდა, გაიგე
ბოლოსდაბოლოს, შეუშვი მაგ თავში, კაცო.

მაგდა – კარგი, ხო, დაუძახეთ რა, ყვე-
ლას. მე ძალა აღარა მაქვს, დავსხდეთ,
თორემ მართლა რა ჯანდაბა დაგვიბედა,
კაცმა არ იცის.

ზაიკო – რა მაგის პასუხია და, ბედობა
გუშინ არ იყო?

მაგდა – ბედობა დღეს არის. დაუძახე
რა ნაილი, შემოგველე, ყველას. ნოშრევანის
თქმისა არ იყოს, მოსახდენი მოხდა, თქვენ
კინკლაობას და მაიმუნობასაც მოუკვდა
პატრონი, ერთხელ ნორმალურად ვერ უნდა
დაილაპარაკოს ადამიანმა? კულტურული
დანესებულება ჰქვია ამასაც, სუფთა
უკულტურობის ეტალონები ვართ.

**ნაილი გადის და შემოჰყავს ჯანო,
კოკი და სალომე.**

ჯანო — რა არის დღეს? ბედობა? (გაკვირვებული შლის ხელებს და მხრებს იჩეჩავს).

სალომი — მაგდა, რა კარგი გოგო ხარ, რომ გაგახსენდა. მე სულ აღარ მახსოვდა. ერთად ყოფნა და მხიარულება დაგვებდებოდა.

კოკი (ირონიულად) — ეგ თუ მოხდა, ერთ კვირას უფრო მარტივად ვკისრულობ.

მაგდა — მოხდება, მოხდება, რასაც დაიბედებთ, ის დაგებდებათ, დასხედით ეხლა ყველანი, ჩემი უბედურება და ჩემი ნევროზი მიყოფა. თქვენი დავიდარაბა სულ არ მაინტერესებს. მომბეზრდა.

ჯანო — კი მაგრამ, მე როგორ ვქნა, როგორ დავჯდე, რომ არ მწამს ეგ ამბავი?
ნაილი — ნაილო ტყინი ამანაც თავის ურწმუნობით.

სალომი — რა არ გნამთ, ბატონო ჯანო?

ჯანო — რა და ეგ, ბედობა თუ რაღაცა. (ნოშრევანი მიდის ჯანოსკენ, ჯანო შეშინებული უკან-უკან იხევს).

ნოშრევანი — დაბრძანდით ბატონო ჯანო, ჩემი დაწურული ადესაა. დაბრძანდით, ძალიან გთხოვთ, რაც მოხდა, მოხდა.

ჯანო — რაო? მოხდაო? რა მოხდა? მე მგონი არაფერი არ მომხდარა... კარგი, ბატონო, დავჯდე. ეხლა კი მოხდება. (ფრთხილად ჯდება სკამზე).

მაგდა — რა მოხდება?

ჯანო (ჭერში ააპყრობს მზერას და ირონიულად იღიმება) — მოხდება ადესის სმა, ქალბატონო!

მაგდა (მხრებს იჩეჩავს) — ვერ გავიგე.

ჯანო — ვერც მე გავიგე და არც არის საჭირო.

ნოშრევანი ასხამს ჭიქებში ღვინოს.

ჯანო — ბ-ნ ნოშრევანთან ერთი შეკითხვა მაქვს, თუ გაიბედება.

ნოშრევანი — კი ბატონო.

ჯანო — ეს წლევიანდელი დაწურული ღვინოა?

ნოშრევანი — წლევიანდელია, რა თქმა უნდა.

ჯანო — გავიგე, მადლობთ, (ფეხზე დგება). შენი ჭირიმე, მშრომელო კაცო!

მაგდა — კარგი ეხლა, მათქმევინეთ ერთი სიტყვა, ბედობა-დღე აღარ დავლოცოთ?

მესუფრენი იწყებენ ჭამას. ერთმანეთს სთავაზობენ თეფშებზე დაწყობილ საჭმელს. მაგდა ამბობს სადღეგრძელოს.

მაგდა — ბედობას გაუმარჯოს! მაპატიეთ, მაგრამ ერთი პატარა გადახვევა მინდა გავაკეთო... ამ დილით რომ გავიღვიძე, ხილვა მქონდა, ზეიკო, როგორი იცი? უზარმაზარი, აი, პირდაპირ ცამდე აწვდილი

კლდეები და ამ კლდეების ძირში პატარა, ერთბენო მობუზული ბატკანი, წარმოგიდგინათ?

სალომი — ვაიმე, სანყალი, რას ნიშნავს მაგდა, ნეტავ?

მაგდა — დაიცადე, გითხრა...

ჯანო — ბატკანი ჩაქაფულს ნიშნავს.

ნოშრევანი (სახეაღწერილი ფეხზე დგება) — რახდება, ვერ გამიგია ბოლოსდაბოლოს, რა მკრეხელობაა აქ გამეფებული, ასაკოვანი კაცი ხართ, რამდენჯერ უნდა მათქმევინოთ ერთი და იგივე...

ჯანო — მე არაფერი არ მითქვამს! მე არაფერი არ მითქვამს! ბო-დი-ში.

ნაილი — დაამთავრებინეთ მაგდას თავის ხილვა. მიდი, მაგდალინა, დააბოლოვე შენი ხილვა.

მაგდა — ჰოდა, ვუყურებ ამ კლდეებს და უცბად მესმის ხათქუნი, რაღაცამ იფეთქა და აი ფრჩხილისოდენა, სულ პანანკინტი-ლა ნაფშხენებად იქცა ეს გიგანტური მასა. ღმერთო! ვეძებ ამ ბატკანს, ვეძებ, ვეძებ, მაგრამ სად გინდა რომ ნახო, აქეთ მოვდექი, იქით მივდექი, შენც არ მომიკვდე. აი, კვალი რომ კვალია, ისიც კი არსად არ ჩანს. ვტირი, თან ვტირი, ცხარე ცრემლით, ვტირი, რა ვქნა, რას ვეცე, აღარ ვიცი. ამ დროს მახსენდება, თითქოს გონება გამინათდაო — ის ბატკანი ხომ გაფრინდა-მეთქი, ვფიქრობ, წარმოგიდგინა? აი, სასწაული არ არის, გეკითხებით? ხომ გაფრინდა-მეთქი, ვფიქრობ.

კოკი — კი, მაგრამ იქნებ არ გაფრინდა ის ბატკანი, ბატონო.

ნოშრევანი — არ გინდა ეს ცინიზმი, თუ ძმა ხარ, მოუსმინე ჯობია, არ ნააგებ.

მაგდა — კოკი, გენაცვალე, მისტიკაში ეგრეა საერთოდ, რეალურად ნანახს და გაფიქრებულს ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვს ორივეს. ეს არ არის სადავო ფაქტი მთავარი ის არის, თვითონ გაფრენა როგორ უნდა იქნეს გაგებული. (ამ სიტყვებზე ნაილი და ზეიკო სახეზე ხელებაფარებული იცინიან)... რა იყო, სასაცილოს მე მგონი არაფერს არ ვამბობ.

სალომი — გააგრძელე, მაგდა, ძალიან გთხოვ.

ჯანო — ქალბატონო მაგდა, ბოდიში, მაგრამ დავალევი ერთი ჭიქა, რა.

მაგდა — ეხლავე... რატომ დავინყე ეხლა ეს ყველაფერი. ჰოდა, მოვედი თუ არა დღეს სამსახურში, ეგრევე მივვარდი ჩვენს ბულალტერს, ნორას (ნორა, სხვათაშორის, ძალიან გამჭრიახი ქალია) და მითხრა აბსოლუტურად დანვრილებით ყველაფერი. ნუ, თურმე ეგრეა, — შენს სიახლოვეს რომ გაფრინდება რაღაცა, ფრინველი იქნება, ცხ-

ოველი თუ ადამიანი, უნდა გიხაროდეს. ამით შენ გპორდება რაღაც დიდი ტვირთი, დიდი წუხილი. და აი, რადგან მე ასეთი შვება მხვდა წილად, მინდა გაკურთხოთ ყველა და ბედობის მაღლი დაგილოცოთ. გაგიმარჯოთ ყველას!

ქალები სხედან და ისე სვამენ. კაცები ფეხზე წამოიშლებიან და ერთხმად ამბობენ სადღეგრძელოს.

კოკი - გაგიმარჯოს მაგდა, საინტერესო ხილვა გქონია!

სალმოე - რა კარგია, მაინც რომ გადაჩრა ის ბატკანი.

შემოდის წვეროსანი ლევან პატაშური და მისი მეგობარი ომარ მენაბდე. ლევანს „დუბლიონკა“ აცვია და მაგნიტოფონი უჭირავს ხელში. ომარი ქურთუკშია გამონყობილი. მხარზე გიტარა გადაუჭიდია.

პატაშური - ვეა, აქ ნახე რა კაი პონტია!

კოკი - ვა, პატაშური მოვიდა!

პატაშური - გამარჯობათ! გილოცავთ ბედობას! სიხარული დაგბედებოდეთ! გაიცანით, ჩემი მეგობარი ომარ მენაბდე! ქალაქელი კაცი! კაი ბიჭი! ბავშვობიდანვე შეზრდილები ვართ!

ნოზრეპანი - მობრძანდით, თქვენი ჩირიმი! გაიხადეთ! **(იხდიან და სხდებიან მაგდასთან).**

პატაშური - რა ჩუმად ხართ, რა იყო, ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

ერთხმად - არა, რას ამბობ.

პატაშური - მოდი, შემოგიერთდებით და ბედობას დაგილოცავთ! გაუმარჯოს! ღმერთი შეგნოდეთ! თქვენი ბინის საძირკველში სატანას ხერეილი არ ენახოს! ხომ არ მემსლება რამე? გაბრიელ-მთავარანგელოზის ნათელი დაგდგომოდეთ ყველას! **(სვამს).**

ნოზრეპანი - ამინ!

ქალვაი - ამინ! ამინ! დაგლოცოს ღმერთმა!

პატაშური - გმადლობთ. „პრავა“ ავიდე და ერთი კვირაა წვეთი არ დამიღვევია, მე ნაღდად კარგი ღვინის სმა დამებედება. **(იცინის).**

ნოზრეპანი - ამისთანა ღვინოს ეხლა სანთლით ვერ ნახავ.

პატაშური - აბა, ჩემო ომარ, მიირთვი! **(ანვდის დიდ სასმისს).**

მ. მენაბდე - ნამდვილად რა, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, ლექსი გვეუბნება. საქართველოში რაც მტრობას დაენგრიოს, სიყვარულს ეშენებინოს! სიყვარული და მრავლობა ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. **(მადლობას უხდინან, სვამს).**

ნაილი (მენაბდეს). - უკაცრავად, თქვენ მღერით?

მენაბდე - ასე ვთქვათ.

ზაიკო - დაგვაბედეთ ერთი კარგი სიმღერა.

პატაშური (ფეხზე დგება). - ერთი წუთით! ერთი წუთით! თუ შეიძლება! ომარა არის პროფესიონალი ბარდი, სიმღერა, ლექსი და გიტარა ამის მოგონილია, მაგრამ ეხლა არავითარი სიმღერა! თუ გინდათ მართლა ლეთივკურთხეული მაღლი დაგებედოთ, ერთი წამით უნდა გაჩუმდეთ, მერე როგორც მოგვეხმობება, ისე შევუბეროთ! **(წამოდგება, მოაქვს მაგნიტოფონი, დგამს მაგიდაზე).** აბა სმენა და გაგონება! ჩემი ხმა არის ჩანერილი, რასაც მოვისმენთ, ის დაგვებედება. ცოლ-შვილს მოვასმენინე ამ დილით! **(რთავს. ისმის მისივე ძველბიჭური მეტყველება).**

- „თქვენ ხართ ნათელი სოფლისა, ვერ ხელენიფების ქალაქსა დაფარულად მთასა ზედა დაშენებულსა.“

გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა, ხოლო რომელმან მოჰკლას, თანამდებ არს სასჯელისა.

ხოლო მე გეტყვით თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა.

გესმა, რამეთუ ითქვა: არა იმრუშო, ხოლო მე ვიტყვით თქვენ, რამეთუ ყოველი, რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმისად მას, მუნვე იმრუშა მისთა გულსა შინა თვისსა.

უკეთუ თვალი შენი მარჯვენა გაცდუნებდეს შენ, აღმოიღე და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარსწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გვამი შენი შთავრდომად გეენიასა.

და უკეთუ მარჯვენა ხელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკვეთე და განაგდე შენგან რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარსწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი და არა ყოველი გვამი შენი შთავრდეს გეენიასა.

გესმა რამეთუ თქმულ არს: შეიყვარო მოყვასი შენი და მოიძულო მტერი შენი.

ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყვარდეთ მტერი თქვენი და აკურთხევდით წყევართა თქვენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქვენ და გღვენიდნენ თქვენ.

ამინ!

პატაშური (ხელს არტყამს მაგნიტოფონის ლილაცს). - ეხლა შეგიძლია შევუბეროთ.

ნოზრეპანი - არა კაც-ჰკლა გავიგი ძმაო, მაგრამ არა იმრუშო ვერ გავიგი, არ დადის ჩემამდე.

გამდა - მრუში ხარ, მრუში, ჩემო ნოზრეპან და იმიტომ! **(იცინის).**

ნომრავანი – აბა, შეეავსოთ სასმისები. (ავსებენ).

ნაილი – ომარ, გადაიღეთ რამე რა, ძალიან გთხოვთ, რალაც უცხოოდ გრძნობთ თავს!

ო. მენაბლე – არა, თქვენი ჭირიმე! არაფერი არ მინდა. დღეს დილიდან ვუბერავთ მე და ლევანა, ასე რომ სმა-ჭამაზე ნურას უკაცრავად.

კოკი – მერე, დილიდან შეუბერეთო, ეგ წერია მათეში? (იციანის).

პატაპური – თუ ძმა ხარ, მათეში რა წერია მაგას მაინც ნუ მასწავლი... აბა ჩემო ომარ, მანდილოსანთა თხოვნით, და-აგუგუნე ერთი შენებური გულშიჩამწვდომი ჰანგები. (ომარ მენაბლე იღებს პირველ აკორდებს და მღერის).

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა,
მხარე ედემის სადარი,
არსად მინახავს მე სხვისა.
სხვა საქართველო სად არის,
ან სხვას ვის ჰქვია ქართველი,
სხვაგან სადმე რომ მენახა,
კოცნით სულს ამოვართმევდი.
სხვა საქართველო სად არის,
სხვაგან სად უყვართ ამგვარად,
და ხალხი ჩვენი სადარი,
ნუთუ სადმეა სხვაგანაც.

5-ჯერ ჩამორეკს სიბნელეში კედლის საათი. მოახლოვდა კრების დაწყების დრო. თანამშრომლები უხმოდ სხედან განაჩენის მოლოდინში დირექტორის მაგიდასთან. მაგიდის თავში დგას დირექტორი, ბ-ნი კოტე.

კოტე – მინდა მოგესალმოთ, პირველყოვლისა და გაუწყით: ჩვენი დღევანდელი თათბირის განსახილველი საკითხი არის ჩვენს ადმინისტრაციულ სისტემაში მომხდარი დარღვეულობანი. ჩვენ არ გვავინტერესებს ერთი და ორი ადამიანის ცხოვრების დადგენილი წესის გამოშეუღრება. ალბათ სჯობია კომპლექსურად მივუდგეთ ამ საკითხს. კომპლექსურად შევისწავლოთ ამ კედლებში მიმდინარე თანაცხოვრება და სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. მაშასადამე, ჯერ უნდა ვამხილოთ, მერე კი თვითკრიტიკის გზით დავგმობთ ყოველგვარი გადახრა (თავზე ივლებს ხელს). უფ! მისკდება თავი!

პატაპური – რაშია ბ-ნო კოტე საქმე, ხომ არ მოგიწიათ ნუხელ?

ბ. კოტე – მომიწია სამწუხაროდ, ჩემო ლევან.

მაგდა – ჩაი, ბატონო, კოტე, ჩაი.

კოტე – თუ არ შენუხდებით რა, შენი ჭირიმე.

მაგდა – რა შენუხებაა, როგორ გეკადრება (გაღის).

კოტე – ხო, რაზე გავჩერდით?

კოკი – თვითკრიტიკაზე.

კოტე – ხო, ხო, ბევრი საკითხია ატმოსფეროს სიჯანსაღესთან დაკავშირებით გადასწავლად, მაგრამ ყველასთვის აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვცალია, არც დრო გვაქვს სამაგიერო და არც ადგილი. ისე კი, ვიცოდეთ მაინც პრინციპი. მაშასადამე, ნაკლოვანებათა მხილება და შემდეგ თვითკრიტიკის მეშვეობით მისი აღმოფხვრა-განადგურება. ამ გზაზე ჩვენ უამრავ წინააღმდეგობას წავეწყვდებით, აქ, ამავ დანებებულების სტრუქტურაში. ეს იქნება სხვადასხვა ხასიათის წინააღმდეგობები, ფიზიკურიც და მორალურიც, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: თანმიმდევრული პრინციპის გატარებით ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლეულ იქნება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასახული ამოცანების გადაჭრას მართო ჩემი და თქვენი თაობა ვერ მოახერხებს, ვინ უნდა იზრუნოს სრულყოფილი კადრების აღზრდაზე თუ არა ისევ და ისევ ჩვენ? ვინ გამოიღებს ხელს სამისოდ? ვინ გადადგამს ამ ნაბიჯს ჩვენს გარდა? რა თქმა უნდა, არავინ (მაგდას მოაქვს ჩაი). მაღლობთ, გენაცვალე (თანამშრომლები ამოქნარებენ და თვლენიკენ არიან მიდრეკილნი. ჯანოს ჩასძინებია), ეგ კაცი გააღვიძეთ მანდ! (აღვიძებენ), მე რა, ფალარათი კი არა მაქვს რომ ვლაპარაკობ?

ჯანო – ვაიმე! ბოდიში რა, ბატონო კოტე! ნუხელდამ თვალი არ მომიხუჭავს!

კოტე – ნადი სახლში მერე!

ჯანო – არა ბატონო, ვიქნები რა, შენი ჭირიმე! კოტე, მაპატიე ერთხელ შე კაცო, რა გახდა! ნუ დამაკარგვინებ სამსახურს!

კოტე – კაი ეხლა, მოკეტე ხო. (ჩაის მოსვამს). მაშასადამე, რაც აქ ითქვა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს. უნდა გაკეთდეს უდაოდ, უსიკვდილოდ, უშელაეთოდ. დღის წესრიგში უნდა დავსვათ თანამშრომელთა სამსახურებრივი ცხოვრების წესის არა ერთი და ორი საკითხი. ის, რასაც აქამდე არ ვლაპარაკობდით და რაც საერთო განხილვის საგნად არ გვქონდა ქცეული, დღეს უნდა ვაქცეოთ. დღეს უნდა ვილაპარაკოთ ერთმანეთზე, ერთმანეთის სამუშაო თუ პირადადამიანურ დისციპლინაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მომიჯნავე კულტურულ ორგანიზაცია-დანებებულებას მივუთითოთ ყველა იმ ნაკლოვანებაზე, რომელიც საერთო სენივით არის მოდებული მთელს ჰუმანიტარულ დანებებულებათა ქსელში. ნუ დავივინწყებთ აგიტაცია-პროპაგანდასაც, რადგან მუშაობის შემდგომი ეტაპები

სწორედ სააგიტაციო სამუშაოს გულისხმობს. ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, პიროვნულ-ინდივიდუალურ მომზადება-მარიფათიანობაზე და კერძო-ინტიმურ გადახალისება-გადასინჯვაზეა დამოკიდებული. ეს თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ და ამ მომენტის გარეშე დღეს საერთოდ ერთი ნორმალური ნაბიჯის გადადგმა ნარმოუდგენელია. მაშასადამე, რა გამოდის? სიტყვა და საქმე, საქმე და სიტყვა, ამ ორი პერსპექტივის ერთმანეთისგან გათიშვა ჩვენ დღეს არ გვეუბრება...

თავს აიღებს, სიტყვის გაგრძელებას აპირებს, მაგრამ იღება კარი და ოთახში შემოდის ავხორცული გამომეტყველების მინიატიურული ქალი, უცნაური, მოკლე ქურტი აცვია, სახეზე ათასგვარი კოსმეტიკური სამშვენისების „ნიშნები“ აქვს.

ქალი (კოკეტურად, ხმის განაზეებით).
- უკაცრავად, მე „ათას ერთი ღამის“ თაობაზე განუხებთ, თუ შეიძლება...

კოტე (სახე გაუბრწყინდება. ნელნელა წამოინევს. იღიმება. მონუსხულივითაა).
- ახ, თქვენ კამილა ხართ, არა?

ქალი - დ-ი-ახ.

კოტე - ძალიან სასიამოვნოა.

დაბნეული თანამშრომლები ხან კოტეს შესცქერავენ, ხან ქალს. კოტეს ერთი ნუთით ავინყდება თათბირი, მიდის ქალისკენ, მერე ბრუნდება, სახეზე სიამოვნება აქვს ალბ-ეჭლილი, უეცრად მკვეთრად ეცვლება გამომეტყველება, მკაცრი და პირქუში ხდება.

კოტე - მე ესტო რამდენიმე ნუთით დაგტოვებთ, თქვენ გააგრძელეთ. შედეგები უსიკვდილოდ შემატყობინეთ.

კარებთან ჩერდება, ქალს აძლევს გზას, ზურგზე ფრთხილად ახებს ხელს, და თვითონაც ფეხაკრეფით გადის.

კოტეს გასვლისთანავე ირგვლივმყოფნი შვებას გრძნობენ. ზოგი საკინძეს გაიხსნის, ზოგი სკამს შემოაბრუნებს და უკუღმა დაჯდება. ზოგი სივარეტს ამოიღებს და გააბოლებს. ერთ-ერთი თანამშრომელი მაგიდაზეც კი შეჯდება დარბაზისკენ ზურგშექცევით. იწყება მოდუნების მომენტი, რომელიც აგრესიული აგზნების წინაპირობაა.

კოკი - არ ჩაგვიხსამა პურ-მარილი ამ შობელძალდა!

პატაშური - კიდევ კარგი, დროზე გვემეღა. რა აზრი აქვს ერთი აქ ყოფნას, ეგ გამაგებინეთ და მერე თუ გინდა, მომკალთ.

სალომი - ჩემთვის ის აზრი აქვს, რომ მე თქვენ გხედავთ. მე თქვენ ყველანი მიყვარხართ!

კოკი - კარგი ერთი, სენტიმენტების გარეშე რა, თუ შეიძლება. ნეტავ აქ არ ვიყო მოსასვლელი და მეტი არაფერი არ მინდა.

აქედან რომ გავალ ხოლმე, ჯოჯოხეთში წამყოფი მგონია თავი.

ჯანი - კი, მაგრამ, ლუკმა-პური არ გინდათ?

ზეიკო - ჭემმარიტების მიგნება ურჩევნიათ.

კოკი - ბავშვობაში ჭემმარიტება დიდთავი საშინელი არსება მეგონა, აზრზე ხარ, რა სწორი ინტუიცია მქონდა. მიდი, ლევან, ერთი შენი ლექსი წაგვიკითხე „სათანური ციკლიდან“.

ლ. პატაშური სცენის შუაგულში დადგება, კითხულობს.

არისხად (შეძახილები). - ბრავო! ბრავო! ბრავო!

ტაშს აყოლებენ. პატაშურს მოაქვს მაგნიტოფონი და რთავს. ისმის სწრაფი, ტემპერამენტისანი მუსიკა, ყველა იწყებს უნესრიგო, ქოტურ ცეკვას, პატაშური ხვევს ზეიკოს ხელს. ზეიკო უხერხულად მიჰყვება, მაგრამ ცდილობს რომ საერთო ფერულში ჩაებას და ნელნელა სხეულის გაუნაფავი რხევით ჰყვება სხვებს, ნაილი და ნომრევეანი ერთად ცეკვავენ ხელი-ხელჩაკიდებულები, ცეკვავს ყველა, ჯანოს გარდა. აქა-იქ ფეხებს მაგრად ურტყამენ იატაკს. იატაკი ზანაზარებს. ზანაზარებს ჭალიც. მოისმის შეძახილები და შეკვივლებები, მაგიდაზე შეხტება მაგდა.

მაგდა (მუსიკის და ცეკვის ფონზე აჯავრებს კოტეს ლაპარაკს). - ჩვენ კომპლექსურად უნდა მივუდგეთ საკითხებს. აგიტაცია-პროპაგანდა - აი მთავარი ჩვენი მიზანი, აგიტაცია სიცრუის, აგიტაცია ავხორცობის და ვილური სიყვარულის, და რაც მთავარია აგიტაცია შიშის, - მეშინია, მაშასადამე ვარსებობ, მაშასადამე, მაქვს თვალები, ტვინი, გული და კუჭი, რომელიც უნდა ავავსო სარჩოთი. შიშს დიდი თვალები აქვს, დიდი ხელ-ფეხი და დიდი თავი! ის არის დიდთავა, დიდთავა, დიდთავა (ცხოველი!

ხა, ხა, ხა, ხა, ხარხარებენ მოცეკვავენი და სწრაფ რიტმში ირხევიან. მაგდა გაივლის მაგიდაზე. მიუახლოვდება მაგიდის თავში მდგარ კოტეს სკამს, ფეხს წაკრავს და გადააყირავებს, მერე ხტება ქვემოთ, ნაილის გამოგლეჯს თავის ქმარს და მასთან ცეკვავს. ეშპევე, ღრიალებს პატაშური და ოფლში გახვითქული იატაკზე ფეხებს აბრახუნებს. ეშპევე, ექოსავით ეხმაურება მას ნომრევეანი. პატაშური კოტეს მაგიდაზე გადაწვება და ფეხით ყრის საქალაღეებს. მოცეკვავენი იცინიან. მხოლოდ სალომე ეთიშება გარშემომყოფებს და სცენის სიღრმიდან ადევნებს შემფოთებული მოვლენებს თვალს, თითქოს გამოფხიზლდაო. პა-

ტაშურს უახლოვდება ჯანო, რომელიც მთელი ამ ქაოტური „ვაკანალიის“ განმავლობაში გახვევებული იდგა და შეშინებული აკვირდებოდა უაზრო როკვას.

ჯანო – რას შერები, რას, გაგიჟდი! (იხრება და იღებს დაცვენილ საქალაქეებს). ეს უზრდელია! უზრდელია!

პატაშური წამოდგება და ცეკვის რიტმით ატანილი მიდის ჯანოსაკენ, სხვები ცეკვის განუწყვეტლად აბრახუნებენ ფეხებს და იტაცებენ ჯანოს სიტყვებს: „უზრდელია! უზრდელია! ბრაგო! გაუმარჯოს თავაზიან ყმაწვილებს!“

პატაშური (ცეკვავს და ჯანოს უახლოვდება). – აი, ვინ არცხვენს მოწინავეთა რიგებს, ვისა აქვს ილიაში ამოჩრილი ნაქურდალი! ვინ ითესება შესვენებაზე და ვინ მრუმობს, თან ხაჭოს და მანონსაც მიირთმევს დესერტად. და რაც მთავარია, აი, ვინ არის მლიქვნელი, უფრო სწორად მლიქვნელების გამა! ამოვიძრკვით, მეგობრებო, ჩვენი საზოგადოებიდან ეს მახინჯი მოვლენა! (აგრესიულად მიიწვევს ჯანოსკენ, ჯანო უკან უკან იხევს, სალომე სახეზე ხელებს იფარებს, მოცეკვავეები შეწყვეტენ ცეკვას, მხოლოდ ნოშრევანი იგრისება ექსტაზში შესული).

ჯანო – მე უმნიკვლო ვარ, ჩემგან რა უნდათ, ხალხო!

პატაშური – უმნიკვლო ვარო! ჰეჰეეე!.. უმნიკვლო ვარო, პავლეს არ უთქვამს, შენ ვინა ხარ! უმნიკვლო კი არა, მწვალებელი ხარ, მწვალებელი! იუდააა! (უსხლტება აჩოჩოლებულ გამშველებლებს ხელიდან და დაუნდობლად ურტყამს მუცელში ფეხს ჯანოს. ქალები კვიან. ჯანო მოწყვეტით ეცემა იატაკზე და გაუნძრევლად წევს. იმნამსვე ყველა ირინდება და ქვავდება ერთ ადგილზე. სალომე ტინის. პატაშური გადის სცენიდან).

ქალაი – სასწრაფოს! ჩქარა სასწრაფოს დაურეკეთ! გრძნობა დაკარგა! (გარბიან სცენიდან).

ნოშრევანი (ჩაჩოქილი მაჯას უსინჯავს და ანჯღრევს). – ჯანო! ბატონო ჯანო!.. ამისთანა რა დაარტყა! (წამოდგება, თავზე ხელებს ივლებს და ჯანოსკენ ზურგმუქცევით დგება). არ შემიძლია, თუ ძმა ხარ, თავი დამანებეთ სუყველამ, ეს რა ხალხში მოხვდი!

კოკი (შეშფოთებული და ახლოს მისვლას ვერ ზედავს). – მე ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა. უფრო სწორედ რალაც მსგავსი უნდა მომხდარიყო, მაგრამ... ნუთუ მართლა გაითიშა, კაცო, ეს ნაღდად წარმოუდგენელია... რა საშინლად წევს... (თვალს არიდებს და სცენიდან გასვლას აპირებს).

ნოშრევანი – მოდი აქ! სად მიდიხარ შე დამპალო!

კოკი – რა გინდა! მე რა უნდა გავუკეთო!

ნოშრევანი – მოდი აქ, დივანზე მაინც დავანვიწიო!

ნოშრევანი ენერგიულად ჰკიდებს ჯანოს მხრებში ხელს, კოკი გაუბედავად მიდის და ცახცახით ებლაუჭება ფეხებში გულნასულს, გაჰყავს სცენის უკან. იქიდან ისმის ნერვიული ჩოჩქოლი, ფუსფუსი, სასწრაფო დახმარების მანქანა გულგამყინავი ზარით იკვლავს იქაურობას, მერე ექიმების მძიმე-ძიმე ნაბიჯების ხმაც აღწევს სცენამდე. სცენა კი ცარიელია, ირგვლივ ყრია გადაყირავებული სკამები, საფერფლეები, საქალაქეები და სხვ. სცენაზე გამოდის ნამტირალევი, თმაგანენილი სალომე. მიდის დარბაზისკენ და ხალხს მიმართავს.

სალომე – წაიყვანეს... ღმერთო ჩემო, ეს ხომ ფარსია, ეს ხომ ტრაგიკომედიაა, ნუთუ ეს საზიზღარი ტრაგიკომედიაა აქვს დაბედელები საქართველოს? როდის დაებედა? რატომ დაებედა? არ ვიცი, არ ვიცი... რა არის ეს, რა? რა ჰქვია ამას? რა ხდება ჩვენს თავს? რწმენის ნაცვლად ცრურწმენა და ცინიზმი, სიყვარულის ნაცვლად მოძულეობა, სიმართლის მაგივრად სიცრუე და ბინძური ჭორი, და ღრეობა, ღრეობა, ღრეობა, უაზრო ღრეობა, თითქოს ყველას თავგზა აქვს აბნეული და ამ ღრეობაში ყველა კარგავს სიტყვებს, სახელებს, სულს, სხეულს, ყველაფერს... ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს დაგვებდა? როდის დაგვებდა? ზნეობრივი სიკვდილი ხომ ერის სიკვდილია. ვის ესმის ჩემი ხმა? ნუთუ არავის არ ესმის ჩემი უმწეო ხმა საქართველოში? ნუთუ ის სიცარიელეს უერთდება და ქრება? არ ვიცი, არ ვიცი, მე არაფერი არ ვიცი. მე არაფერი არ დამიჯერეს... (შებრუნდება და ნელი ნაბიჯით მიდის. ზუსტად ამ დროს კარის ზღურბლზე გამოჩნდება ალიოშა).

ალიოშა (შემზარავად იცინის) – ხა, ხა, ხა, ხა (სალომე ზურგს აქცევს ალიოშას და ყურებზე ხელებს იჭერს), მუშტია აქანა საჭირო-თქვა, რომ ვამბობდი, მუშტი, მუშტი, აჰა რა გეგონათ! ხახახა (მიდის და მისი ამაზრზენი სიცილი თანდათან მატულობს ექოსავით).

სცენა ბნელდება. მერე თანდათან, ნელ-ნელა ნათდება. გათენდა. იწყება ახალი სამუშაო დღე. რადიოში ისმის მელიოღია: „დილა არის ცალაჟვარდი დაა, მზისა სხივი ეფინება დაა“; სცენაზე ყრია გადაბრუნებული სკამები, საქალაქეები და სხვ.

წელი ეშვება ფარდა.